



დამტკიცებულია
თჰუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 14 თებერვლის N3 გადაწყვეტილებით

მოდულიზებულია
თჰუ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 03 სექტემბრის N13
გადაწყვეტილებით

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი ჰუმანიტარული ფაკულტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

აკადემიური ხარისხი: ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი გასცემს ამ პროგრამის დასრულების დამადასტურებელ სერტიფიკატს და კურსდამთავრებულები სწავლას აგრძელებენ თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედ ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამებზე ან დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე თავიანთი არჩევანის შესაბამისად.

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი

პროგრამის სტრუქტურა: ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 60 ECTS კრედიტისგან, რომელიც მოიცავს 8 სავალდებულო სასწავლო კურსს; პროგრამის კურიკულუმი შედგენილია ლოგიკურად, რათა საფეხურებრივი პრინციპით, თანდათანობით მოხდეს იმ კომპეტენციების გამომუშავება, რომელსაც პროგრამა ითვალისწინებს.

სასწავლო კურსები ნაწილდება შემდეგნაირად:

- I სემესტრი - 4 სავალდებულო კურსი, **30 (ECTS) კრედიტი**
- II სემესტრი - 4 სავალდებულო კურსი, **30 (ECTS) კრედიტი**

აქედან, **10 (ECTS) კრედიტი ნაწილდება** სასწავლო კურსზე - დარგობრივი ენა: ფილოლოგია, ფსიქოლოგია, ტურიზმი, მედიცინა, ბიზნესი და ეკონომიკა, სამართალი.

სტუდენტი ირჩევს ერთ-ერთს მისი მომავალი საბაკალავრო პროგრამის სპეციალობის გათვალისწინებით. დარგობრივი კურსები შეიქმნა სტუდენტთა მომავალი პროფესიული არჩევანის გათვალისწინებით და გულისხმობს იმ ტერმინოლოგიის, დარგობრივი ლექსიკისა და

სპეციფიკური ენობრივი კონსტრუქციების სწავლებას, რომლებიც ამა თუ იმ დარგობრივი მიმართულებისთვისაა ნიშანდობლივი.

1 საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

1)თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს პირს/საქართველოს მოქალაქეს, რომელიც ჩააბარებს ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგად უნარებს აზერბაიჯანულენოვანი, ან აფხაზურენოვანი, ან ოსურენოვანი, ან სომხურენოვანი ტესტების შედეგების საფუძველზე და გადალახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

2)ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება აქვთ იმ პირებსაც, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩაირიცხებიან თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2 პროგრამის აღწერა:

სწავლის ხანგრძლივობა: 1 წელი, 2 სემესტრი

ქართულის, როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის შესწავლა უპირველესი რიგის ამოცანაა ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის. სწორედ მაღალი ენობრივი კომპეტენცია და დომინანტი მოსახლეობის კულტურული ნორმების ცოდნა მისცემს მას ქვეყნის სოციალურ- პოლიტიკურ პროცესებში სრულყოფილად ჩართვის შესაძლებლობას, განუვითარებს ინტერკულტურულ მგრძობელობას, რაც თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში შრომის ბაზარზე დამკვიდრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. პროგრამით გათვალისწინებული კურსების შინაარსი იმგვარადაა შედგენილი, რომ სტუდენტებს, გარდა ენობრივი კომპეტენციისა, აძლევს დამატებით კომპეტენციებს წარმატებული პიროვნული თვითრეალიზაციისათვის.

3 პროგრამის მიზნები

საქართველოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის შექმნას სათანადო პირობები ხარისხიანი განათლების მისაღებად და სამოქალაქო ინტეგრაციისთვის. ამის მიღწევა მხოლოდ სახელმწიფო ენის - ქართული ენის ფლობის შემთხვევაშია შესაძლებელი.

პროგრამამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქე აზერბაიჯანელი, სომეხი, აფხაზი და ოსურენოვანი სტუდენტების, ასევე ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე სწავლის უფლებამინიჭებული საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ ქართული ენის იმგვარი ცოდნა, რომ დაძლიონ მათ წინაშე არსებული ენობრივი ბარიერი და სრულყოფილად ჩაერთონ სამოქალაქო პროცესებში. პროგრამა ხელს უწყობს ღია,

ეთნიკურად მრავალფეროვანი, ტოლერანტული და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებას და ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობის ხელშეწყობას მათი ინტელექტუალური რესურსის სრულყოფილად რეალიზებაში.

კერძოდ: პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების წარმატებით გავლის შედეგად სტუდენტებმა უნდა მიაღწიონ ქართულის, როგორც მეორე ენის, ზღვრულ გაძლიერებულ B1+ დონეზე (რეცეფციული (კითხვა, მოსმენა) და პროდუქციული (ლაპარაკი, წერა) უნარები) ცოდნას. ცოდნის დონე უნდა შეესაბამებოდეს ენის ფლობის დონეების ზოგადევროპული სისტემის მიხედვით განსაზღვრულ კომუნიკაციურ კომპეტენციებს; სტუდენტებს საკმარისად უნდა ჰქონდეთ განვითარებული ენობრივი და საკომუნიკაციო უნარები უმაღლეს სასწავლებელში ლექციების ქართულ ენაზე მოსასმენად, გასაგებად და პროფესორ-მასწავლებლებსა თუ თანაკურსელებთან ქართულ ენაზე ურთიერთობის დასამყარებლად; სტუდენტები იმ დონეზე უნდა დაეუფლონ ქართულს, როგორც მეორე ენას, რომ შეძლონ:

1. ზეპირი კომუნიკაცია ქართულ ენაზე (სალექციო პროცესში, საუნივერსიტეტო ცხოვრებაში);
2. სხვადასხვა ფუნქციისა და ჟანრის ზეპირი და წერილობითი ტექსტების შექმნა და გაგება;
3. სხვადასხვა პრაქტიკულ/სამუშაო ჯგუფში მეცანიერობებზე მიცემული წერილი დავალებების შესრულება;
4. ქართული ენობრივ-კულტურული ფასეულობებისა და სოციალური სინამდვილის გაცნობა და და პატივისცემა;
5. ქართული ენის ცოდნისა და უნარების პრაგმატულად გამოყენება.

ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანების გადასაჭრელად პროგრამით გათვალისწინებული კურსები სტუდენტებს უვითარებს ქვემოთ ჩამოთვლილ კომპეტენციებს:

ლინგვისტური კომპეტენცია - ქართული ენის საბაზისო ლექსიკური მარაგის ათვისება, ლოგიკურად და გრამატიკულად გამართული გამოთქმებისა და ფრაზების ჩამოყალიბების უნარი.

სოციოლინგვისტური კომპეტენცია - კონკრეტული კომუნიკაციური ამოცანის შესაბამისად ზეპირი და წერილი კომუნიკაციების კომპეტენციის საფუძვლების დაუფლება.

დისკურსული კომპეტენცია - განსხვავებული (მათ შორის აკადემიური) ჟანრის ტექსტების სტრუქტურულ მახასიათებლებში გარკვევა, სათანადო სტრატეგიების გამოყენება მისი შექმნისა და გაგებისათვის.

სოციოკულტურული კომპეტენცია - ქართული ენობრივ-კულტურული თავისებურებების გაცნობიერება, მოცემულ სოციოკულტურულ გარემოში ადაპტირება.

სოციალური კომპეტენცია - თავის დამკვიდრება არსებულ სოციალურ გარემოში კონფლიქტების გარეშე.

სტრატეგიული კომპეტენცია - საჭიროების შემთხვევაში საკომუნიკაციო ხარვეზის

ეფექტურად გადაჭრა ვერბალური და არავერბალური სტრატეგიების გამოყენების გზით.

4 პროგრამის სწავლის შედეგები

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტებს განვითარებული აქვთ ენობრივი და საკომუნიკაციო უნარები უმაღლეს სასწავლებელში ლექციების ქართულ ენაზე მოსასმენად, გასაგებად და კომუნიკაციის დასამყარებლად. გარდა ამისა, ისინი მზად არიან არააკადემიურ გარემოში ადაპტირებისათვის. მათ მიიღეს შემდეგი ცოდნა და უნარები:

1. ცოდნა და გაცნობიერება:

- კურსდამთავრებულებს გააჩნიათ საბაზისო ცოდნა ქართულ ენაში;
- ერკვევიან ქართული ენის გრამატიკულ სტრუქტურაში (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი) და ფლობენ ვერბალურ და არავერბალურ საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებს. განვითარებული აქვთ ოთხივე ენობრივი უნარი მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა (საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს (Common European Framework of Reference, *CEFR*) B1+ დონეზე).

2. უნარი:

მიღებული ცოდნის რეალიზების შედეგად კურსდამთავრებული:

- ახდენს ქართულ ენაზე სხვადასხვა ტიპის ზეპირი ტექსტის (მათ შორის - ლექციების) მოსმენას, გაგებას, თარგმნას;
- ლოგიკურად მსჯელობს ქართულ ენაზე და მისადები ფორმულირებით გადმოსცემს აზრს, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით, შესატყვისი გრამატიკული (მორფოლოგიური და სინტაქსური) კონსტრუქციების გამოყენებით;
- ახდენს ყოფით ან სასწავლო გარემოში ინსტრუქციების, მითითებებისა და დავალებათა შინაარსის გაგებას; მოსაუბრეთა დამოკიდებულებების (განწყობის) ამოცნობას და მოსმენილი ტექსტის შინაარსის უკეთ გასააზრებლად შესაბამისი სტრატეგიების გამოყენებას.
- საუბრობს სხვადასხვა თემატიკაზე, სვავს კითხვებს და გამართულად პასუხობს მისთვის დასმულ შეკითხვებზე;
- ჩამოუყალიბდა საქმიანი დოკუმენტაციის შედგენის, საანკეტო მონაცემების შევსების, CV-ს და ბიოგრაფიის შექმნის უნარი;

კურსდამთავრებულს შეუძლია ოთხივე ენობრივი კომპეტენციის - მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა გამოყენება წერით და ზეპირ მეტყველებაში B1+ დონეზე.

3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

- კურსდამთავრებულს აქვს საკუთარი სასწავლო საჭიროებების ადეკვატურად შეფასებისა და დაგეგმვის უნარი. ამოწმებს საკუთარ ცოდნას, ახდენს არსებული ხარვეზების იდენტიფიცირებას, სასწავლო საჭიროებების ადეკვატურად შეფასებას და დაგეგმვას.
- დამოუკიდებლად აგროვებს ინფორმაციას სხვადასხვა წყაროდან და იყენებს მათი სასწავლო მიზნით, მათ შორის ინტერნეტის / თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;
- კურსდამთავრებულები სათანადოდ აცნობიერებენ ქართული საზოგადოების ეროვნულ-კულტურულ ფასეულობებს და მათ მნიშვნელობას ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებსა და ფასეულობებთან მიმართებით, ტოლერანტულია, პატივს სცემს განსხვავებულ კონფესიებს, კულტურებსა და აზრებს, აღიარებს მულტიკულტურულ და მრავალენოვან გარემოს, როგორც რეალობის მნიშვნელოვან და საინტერესო ნაწილს და არა როგორც პრობლემას.

5 დასაქმების სფეროები და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები სწავლას აგრძელებენ თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედ ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამებზე ან დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე თავიანთი არჩევანის შესაბამისად.

6 პროგრამის სტრუქტურა

იხ. დანართი 1

7 სწავლა-სწავლების მეთოდები

ლექცია, შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობენ ლექტორი და სტუდენტი. ლექციის ძირითადი მიზანია შესასწავლი თემის არსის გაგება, რაც გულისხმობს მიწოდებული მასალის შემოქმედებით და აქტიურ აღქმას. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს მასალის ძირითად დებულებებს, განმარტებებს, აღნიშვნებს, დაშვებებს. საჭიროა მთავარი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია უნდა უზრუნველყოფდეს შესასწავლი საგნის ძირითადი დებულებების მეცნიერულ და ლოგიკურად თანმიმდევრულ შეცნობას ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე.

სამუშაო ჯგუფში მუშაობის დანიშნულებაა სტუდენტებს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი თემების გაღრმავების საშუალება. წამყვანი ლექტორის მითითებით სტუდენტი ან სტუდენტთა ჯგუფი მოიძიებს და ამუშავებს დამატებით ინფორმაციას, ამზადებს პრეზენტაციას, წერს ესეს და სხვ. მოისმინება მოხსენებები, იმართება დისკუსია, კეთდება დასკვნები. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი ლექტორი კოორდინაციას უწევს ამ პროცესების მიზანმიმართულად წარმართვას.

პრაქტიკული მეცადინეობის დანიშნულებაა კონკრეტული პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის პროცესში თეორიული მასალის გამოყენების უნარის ფორმირება, რაც თავის მხრივ თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევის გამომუშავების საფუძველია. პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ამოცანათა და სავარჯიშოთა გადაწყვეტის მეთოდიკაზე, მათ შესრულებაზე და სხვ.

სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა - არის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის (შრომის) რაოდენობა ძირითადი ლიტერატურის გაცნობა-შესწავლიდან - ჯგუფურ მუშაობამდე და/ან შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადებისათვის.

სწავლება-სწავლის შესაბამისი აქტივობებია:

დისკუსია/დებატები – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი, რომელიც მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ეს მეთოდი განუვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს;

ჯგუფური (collaborative) მუშაობა – ამ მეთოდით სწავლების დროს სტუდენტები იყოფიან ჯგუფებად და მათ ეძლევათ სასწავლო დავალებები. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) – აღნიშნული სასწავლო მეთოდი ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად პრობლემის დასმას იყენებს;

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება – სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში; თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

ვერსტიკული მეთოდი – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება;

შემთხვევის ანალიზი (Case study) – პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს;

გონებრივი იერიში (Brain storming) – ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- ა) პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
- ბ) დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
- გ) გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;

დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია, ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გაგზავნით სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს;

პრეზენტაცია - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პრეზენტაციაზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პრეზენტაცია განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პრეზენტაცია წარედგინება ფართო აუდიტორიას.

ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

წერიტი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და ხელნაწერის დამუშავება.

პროექტის შემუშავება -პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელდება ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

პრაქტიკული მეთოდები – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს, აქ სტუდენტი შექმნილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, საწარმოო პრაქტიკა.

8 შეფასების სისტემა

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო

ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში.

შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, შეფასების რუბრიკები მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში, რომლებიც რელევანტურია სასწავლო კურსების სპეციფიკასთან და მიმართულია სწავლის შედეგზე გასასვლელად.

9 სასწავლო რესურსების უზრუნველყოფა

სასწავლო პროცესისათვის გამოიყენება თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსები. თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს აქვს გამართული სასწავლო პროცესისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (კომპიუტერული კლასი, სააუდიტორიო ფონდი ვიდეო-ლექციების უზრუნველყოფით, ენის კაბინეტი), რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით და აპარატურით. პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. სტუდენტებს წვდომა აქვთ სხვადასხვა ელექტრონულ სასწავლო ბაზებსა და ბიბლიოთეკებთან.

- აუდიტორიები;
- ბიბლიოთეკა (ბაზები: Cambridge Journals Online (<https://www.cambridge.org/core>); e-Duke Journals Scholarly Collection(<https://read.dukeupress.edu/>); Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://www.elgaronline.com/>); IMechE Journals (<https://uk.sagepub.com/en-gb/eur/IMEchE>); Openedition Journals (<https://www.openedition.org/>); Royal Society Journals Collection(<https://royalsociety.org/journals/>); SAGE Journals(<https://journals.sagepub.com>); SAGE APCs for Open Access Journals (<https://uk.sagepub.com/en-gb/eur/pure-gold-open-access-journals-at-sage>);
- სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა;

დანართები:

- დანართი 1 - პროგრამის სტრუქტურა
- დანართი 2 - ძირითადი სწავლის შედეგების რუქა, სამიზნე ნიშნულები
- დანართი 3 - პროგრამის ხელმძღვანელის CV (resume)
- დანართი 4 - პროგრამის ადამიანური რესურსები